№ 83 აპრილი 22, შაბათი — 1889 — აპრილი 22, შაბათი № 83


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

კვირას, 23 აპრილს, კალოუბნის ეკკლესიაში, დილის 12 საათზედ, გარდახდილი იქმნება პანაშვიდი გორის ოქონის ეკკლესიის მღვდლის განსვენებულის **მისეილ ნასყიდაშვილის** მოსახსენებლად და უმორჩილესად სთხოვენ მახლობელთა, მცნობთა და პატივის-მცემელთა მისთა დაესწრნენ მოხსენებულს პანაშვიდზედ. (2—1)

## რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა,— რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდამ.

გამგე კომიტეტი კავკასიის 1889 წ. გამოფენისა ამით აცხადებს, რომ განზრახვა აქვს აძლიოს მსურველ გამომფენლებს ადგილები პავილიონებისათვის როგორც თვით საყვავილეში, რომელიც გაშენებულია გამოფენის მთავარ შენობის წინ, ისე გამოფენის მოედნის სხვა ნაწილებშიაც. გამომფენელთა, რომელთაც განზრახვა აქვთ ადგილები დაიჭირონ პავილიონებისათვის, უნდა წარუდგინონ კომიტეტს თავ-თავიანთი განცხადება არა უგვიანეს პირველის ივნისისა. ამასთანავე ერთად უნდა წარადგინონ პავილიონების ფასადები და მოხსენებული უნდა იყოს, ვის რამდენი მიწა ეჭირება.

აგრეთვე კომიტეტი იუწყება, რომ გამომფენლებმა პავილიონის ადგილებისათვის უნდა გადაიხადონ ერთი თუმანი თითო-ოთხ-კუთხს საჟენზე, თუ საყვავილეში დაიჭერენ ადგილს, და 2—5 მანეთი, თუ სხვაგან დაიჭერენ ადგილს. (3—3)

ტფილისი, 21 აპრილი

ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობა და განწყობილება რომ მაინცა და მაინც მკვიდრი და საიმედო არ არის, ეს ყველამ კარგად იცის. მართალია, სახელმწიფონი დას-დასად არიან დანაწილებულნი, მაგრამ არც თითოეულის დასის მდგომარეობა და განწყობილებაა მკვიდრს საძირკველზე აგებული. თვით სამთა კავშირიც, რომელსაცა შეადგენენ გერმანია, ავსტრია და იტალია და რომელიც ძილს უფრთხობს სხვა სახელმწიფოებს, როგორც სჩანს ვერა ყოფილა იმდენად საშიში და ძლიერი. ამას წინად რამდენჯერმე ვესაუბრეთ მკითხველებს იმის შესახებ, რომ მეტის-მეტმა, ძალ-დატანებულმა შეთოფ-იარაღებამ, ჯარების მზადებამა და გადასახადის მომატებამ ლამის არის სული ამოართვას იტალიის ერს, რომელიც ხმა მაღლა დრტვინავს და ჰგოდებს თავისის უკიდურესის ეკონომიურ ყოფა-მდგომარეობის გამო. აგრეთვე ისიც მოვიხსენიეთ, რომ იტალიის ერს არ მოსწონს თავისის მართებლობისა და გერმანიის მეგობრობა და ქომაგობა. იტალიის ერი რომ არ ემადლიერება თავისის მართებლობის პოლიტიკასა და ცუდის თვალით უყურებს გერმანიისა და იტალიის მეგობრობას, ამას სხვა გარემოებაც ჰმოწმობს.

იტალიის მეფემ ჰუმბერტომ განიზრახა ბერლინში წასვლა გერმანიის იმპერატორის სანახავად. ეს ამბავი გასაკვირველი და მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო იტალიელთათვის, რადგანაც ზრდილობა და დარბაისლობა მოითხოვდა ჰუმბერტო ვილჰელმს სტუმრად სწვეოდა, ვითარცა მთლობელს მოკავშირე სახელმწიფოსას, მაგრამ იტალიელებმა ძალიან იუცხოვეს თავიანთ მეფის განზრახვა, რესპუბლიკელთა დასმა საქვეყნოდ შეჰქმნა ღაღადი, რომ ჰუმბერტო ბერლინში არ უნდა წავიდესო, რადგანაც ჰუმბერტოსა და ვილჰელმის ერთმანეთის ნახვა სამთა კავშირს განამტკიცებსო და სასიამოვნო არ იქნება რესპუბლიკელ საფრანგეთისათვისაო. იმავ დასმა შეუთვალა ყველა საპოლიტიკო საზოგადოებას, რომ ქალაქებს ურჩიონ წინააღმდეგობა გაუწიონ მეფეს და ბერლინში წასვლა მოაშლევინონ. ამ რესპუბლიკელ დასს მიემხრო და გამოესარჩლა მწერლობაც.

ამ გარემოებას ერთი სხვაც დაერთო. იტალიის მინისტრ-პრეზიდენტმა კრისპიმ განიზრახა საფრანგეთიდგან დაიბაროს და დრომდე სამსახურიდგან დაითხოვოს იტალიის ელჩი მენაბრეა, რათა იტალიის წარმომადგენელი არ დაესწროს საფრანგეთის მსოფლიო გამოფენასა და რევოლიუციის ასის წლის დღეობას. ესეთი განზრახვა მინისტრ-პრეზიდენტისა იუცხოვა და არ მოიწონა მწერლობამ, რომელიც ამბობს, რომ იტალიის წარმომადგენლის დაბარება საფრანგეთიდგან მართებული საქციელი არ არის და საფრანგეთსაც არ ესიამოვნებაო.

ეს ორი ამბავი აშკარად ჰმოწმობს, რომ იტალიის ერი მადლიერი არ არის თავისის მართებლობისა, ყოველს იმის ნაბიჯს ეჭვით უყურებს და გული უფრო რესპუბლიკელ საფრანგეთისაკენა აქვს, ვიდრე გერმანიისაკენ. არ მოსწონს ერს ისა, რომ იმისი მართებლობა ყოველს ღონის-ძიებას ჰხმარობს იტალია გერმანიას დაუახლოვოს და გადაჰკიდოს საფრანგეთს, ამ ბუნებურსა და გულწრფელს მეგობარს იტალიისას. შეისმენს თუ არა იტალიის მართებლობა ხმას ერისას, ამას მერმისი გვიჩვენებს.

არც ავსტრიის მდგომარეობაა ამ ჟამად მაინცა და მაინც სანატრელი და მშვიდობიანი. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ქ. პეშტში ერსა და ჯარს შუა დიდი შეტაკება მოხდა იმის გამო, რომ მართებლობას განზრახვა ჰქონდა ისეთი კანონი დაემტკიცებინა, რომელიც ვენგრიის ეროვნულს უფლებას ეწინააღმდეგებოდა. თვით სატახტო ქ. ვენაში ცხენის რკინის გზის «კუჩრებმა» დიდი და იშვიათი უწესოება და ამბოხება მოახდინეს. მართებლობამ აქაც თოფ-იარაღი იხმარა და ორსავე ქალაქში მრავალი კაცი იმსხვერპლა. შინაობაში სისხლის-ღვრა დიდი უბედურებაა თვით ძლიერის სახელმწიფოსათვისაც და შინაობა იმისი მომასწავებელია, რომ საშინაო ყოფა-

# ფელეტონი

## აი ისტორია

(წერილი მეოთხე*)

ავტორი Письма о Грузіи-სა თავის მეორე წერილის ბოლოში ამბობს, რომ თუ ისტორიის წინად-ყოფილი დრო საქართველოსი არ გამოგვერკვია, ვერას გავიგებდით ვერც ქართველების ლიტერატურისას, ვერც ეხლანდელის მათის ყოფა-ცხოვრების ვითარებასაო და ამიტომაც უპირატესი ყურადღება მივაქციეთ ისტორიის პირველ-ყოფილ დროს საქართველოსასაო.

სჩანს სწორედ ამ აზრით მიჰყოლია ავტორი ჩვენის ძველის-ძველ ვითარების მოთხრობას. სჩანს, რომ ეს აზრი უკვე შეუსრულებია კიდეც, თორემ არ იტყოდა,—უამისოდ ვერას გავიგებდითო. ჯერ ხანად, მეტი რა გზაა, უნდა დავუჯეროთ ავტორსა, რომ მითამდა ჩვენს ხბოს მგელი დაუჭერია. ხომ ესეა, მაგრამ ნუ-კი გგონიათ, რომ ავტორი მართლა რასმე განუწყვეტელს ძაფს გააბამს იმ დროდამ დღევანდლამდე, ან რომელსამე ვითარებას დღევანდელისას აგვიხსნის წარსულითა. სრულებითაც არა, თუ არ მივიღეთ სახეში თავი და თავი და, ჩვენის ფიქრით, განგებ აკვიატებული აზრი ავტორისა, რომ ქართველებს თავისი არცა არა ჰქონიათ-რა თითქმის წინად და არც არა აქვთ-რა ეხლაო. აქედამ გამოჰყავს ნუგეშად ჩვენდა თავისი სასაცილო თეორია „ღონის შენახვისა მერმისისათვის“ და თითქო ზარაქალასაც გვეუბნება ქართველებს, რომ დასაბამიდამ დღევანდლამდე არა გიკეთებიათ-რა და ამ გზით ღონე შეგინახავთ მერმისისათვისაო.

ჩვენ დავპირდით მკითხველს, რომ ფეხდაფეხ მივყვებით ავტორსა, მაგრამ, როცა საქმეს გულ-ღვიძლამდე ჩავაკვირდით, ჩვენი დაპირებული სანანურად გაგვიხდა. ვერ წარმოიდგენს კაცი—რა ზედ-მიუყოლებელს, რა არევ-დარეულს მოთხრობას თავს წავაწყდით, როცა ავტორის დაბნეულ აზრების ანუხსვას ხელი მივყავით. ასეთს სკუპ-სკუპებს, ასეთს უეცარს კამარებს, ასეთს ასკინკილად ხტომას განგებ ამისათვის დაწერილს წერილში თუ ჰნახავს კაცი. ჩვენს ისტორიას ნუღარ იკითხავთ: აქ კაცს დაუსჯელად შეუძლიან თავის ნებაზე ნავარდი. ავტორს მსოფლიო ისტორიაც კი თავდაყირა გადაუტრიალებია და იმისთანა ამბები გამოჰპარეია, რომ დღეს მეოთხე კლასსის შეგირდისათვის შეუნდობელია. არც ქრონოლოგიაა, არც გეოგრაფია, არც ისტორიისაგან შეურყეველად გამორკვეული საბუთები, თითქო ავტორს სმარაგდოვის ისტორია უკანასკნელ სიტყვად მეცნიერებისა მიუჩნევია და თითქო მას აქედ ისტორიას ფეხიც არ წაუდგამს წინა. გარდა ამისა, ერთგან რომ ერთს იტყვის ავტორი, მეორეგან სულ სხვას ამბობს „უმსგავსოს და შორი-შორსა“ იმავე რიხით და გადაწყვეტილებით, როგორც პირველს. ერთსა და იმავე საგანზედ ერთგან რომ ჰო აქვს, მეორეგან არა და ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ არც ჰოა და არც არა. ამას ყველაფერს თავის ადგილასა ვნახავთ.

და თუ ეხლა ამას ვიხსენიებთ, მარტო იმისათვის, რომ ბოდიში მოვიხადოთ წინადვე, თუ ამ რიგად არეულმა წაჯეგ-უკუჯეგობამ ავტორისამ ჩვენდა უნებურად აგვითრია და ლარსავით გასაბმელი სიტყვა მიგვახვევ-მოგვახვევინა მკითხველის მოსაწყენად.

ავტორი იწყებს-რა ჩვენს ძველის-ძველს ისტორიას, ამბობს, რომ მაშინ, როდესაც სირიის ზღვის პირას ჯერ კიდევ ჰბატონობდა სიდონი და ფინიკიის ხომალდები უკვე კიდეც ჰლახავდნენ ხმელთა შუა ზღვას, ეგეისას და შავს ზღვასა, როცა ტიგროსსა და ევფრატის შუა მდებარე ვაკეზედ ჰყვაოდა ჯერ კიდევ ძველი ქალდეიის სამეფო და თავ-მომწონე მპყრობელნი ეგვიპტისა უკვე წარსულადა სთვლიდნენ მეცხრამეტე დინასტიას, მაშინ პირველად ვხედავთ საამიცანო სახელებს თორგომისას, თუბალისას და მოსოხისასაო. ამ სახელებს იხსენიებს მოსე წინასწარმეტყველი თავის შექმნათა წიგნშიო, უმატებს ავტორი სხოლიოში. ნეტა რა საუკუნე იყო ეს საუკუნე ქართველების პირველ ხსენებისა?

ავტორი მოურიდებლად გვეუბნება, რომ ეს ამბები ერთსა და იმავე დროს იყოო, სახელდობრ, ოც-დათორმეტ საუკუნეს წინად. გამოვიძიოთ ეს დანადგენი ავტორისა. ავტორის სამი ათას ორას წლიდამ რომ გამოვთვალოთ 1889 წელი ქრისტეს აქედ, დარჩება 1311 წელი ქრისტეს წინად, ესე იგი, უკანასკნელნი წელნი მეთოთხმეტე საუკუნისა.

სიდონის ბატონობის დასასრულად ისტორიაში მიღებულია მეთორმეტე საუკუნე [16]. ფინიკია უკვე ჰლახავდა ხმელთა შუა ზღვასა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში ქრისტეს წინად [17]; მეცხრამეტე დინასტია ეგვიპტეში დასრულდა მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს. მოსე წინასწარმეტყველი გადაიცვალა მეხუთმეტე საუკუნის [18] დასასრულს. ძველ-ქალდეიის სამეფოს ყვავილოვანება ჯერ იყო სარგონ I-სა და მისის შვილის ნარამ სინის დროს და მეორედ მაშინ, როცა კასნი, ელამის მთიულთა ნათესავი ერი, დაეცა ქალდეას და დაიპყრა. როდის იყო ეს დრო, ისტორიამ ჯერ არ იცის [19] და ჩვენს ავტორს-კი შეუტყვია, რომ ოცდა-თორმეტ საუკუნის წინად ყოფილა.

დააკვირდით ყოველ ამას, შეადარეთ ავტორის ნათქვამს და მერე გამოიცანით-რა დროს ჰგულისხმობს ავტორი ქართველების პირველ ხსენებისას. ჯერ ყველაზედ უწინარეს ვიკითხოთ,—ეს რა ამბავია, რომ ჯერ ისტორიულ მეცნიერებისაგან გამოურკვეველი დრო ძველის ქალდეის ყვავილოვანებისა ისტორიულ მეცნიერებისაგან ცნობილი არ არის და ჩვენმა ავტორმა ზედ-მიწევნით საიდამ გამოარკვია. ერთი რატომ არ უჩვენებს ამის საბუთს სადმე, ხომ აღმომჩენის სახელს დაიგდებდა საქვეყნოდ და რატომ მოჰრიდებია ამისთანა გამტაცებელს საცდურსა. თუ სმარაგდოვის და სხვა ამისთანა დაობებულს ისტორიას რასმე იმოწმებს ავტორი, ამაზედ ვუპასუხებთ, რომ ყოველივე უწინდელი თხრობილი, თუნდ ნინასა და სემირამიდაზედ [20], დღეს სულ ზღაპრად მიჩნეული აქვს ისტორიასა. თუ ავტორი მიგვითითებს ბაბილონის აყვავების ხანაზე, რომელიც ბოლოს დროს ეწვია ბაბილონსა, ეგ ხომ ნაბუქოდონოსორის დროს იყო მეშვიდე საუკუნის დასასრულს [21] ქრისტეს წინად.

ვსთქვათ, ყოველს ამაში გამოგვეკიდა ავტორი და ასე თუ ისე თავი იმართლა. მოსე წინასწარმეტყველის ამბავს ხომ ვეღარსად წაუვა. ავტორის სიტყვით, 1311 წლის

*) იხ. „ივერია“ №№ 71, 77 და 78.

16) ვებერი, ტომი I, გვერდი 500.
17) შლოსერი, ტ. I, გვერ. 55.
18) შლოსერი, ტ. I, გვ. 51.
19) ვებერი, ტ. I, გვ. 431.

20) იქავე: გვერდი 444, 445.
21) იქავე: 474.

მდგომარეობას წამლობა ეჭირება. ავსტრიის მართებლობამ აშკარად დაინახა სად რა სენი სჭირს სახელმწიფოს. ეს ორი სენი ერთი ის არის, რომ თვით მართებლობას ძველადგან ჩვეულებად დარჩენია ზოგჯერ ეროვნულის გრძნობის შელახვა; მეორეც ისა, რომ მუშა ხალხის მდგომარეობა მეტად გაჭირებულია, ერთსაცა და მეორესაც ავსტრიის მართებლობა შესაფერს წამალს უძებნის, რადგანაც ავსტრიის ერნი იმდენად გაწვრთნილნი არიან, რომ თავიანთს უფლებას არავის დაუთმობენ და თვით მართებლობაც გამოცდილებით შეჩვეულია ხმას ერისას ყურადღება ათხოვოს.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** სპარსეთის შაჰი ნასრედინი ამ გაზაფხულზე აპირობს ევროპაში მოგზაურობას. გზად რუსეთშიაც გაივლის და პეტერბურგში დაჰყოფს რამდენსამე დღეს. იქიდამ ბერლინში მივა და მერე პარიჟს ესტუმრება სწორედ იმ დროს, როცა იქ გაცხარებული სეზონი იქნება მსოფლიო გამოფენისა. ამ მსოფლიო გამოფენას ეს ერთად-ერთი გვირგვინოსანი დაესწრება. პარიჟელები სცდილობენ, რაც შეიძლება, მეტად ასიამოვნონ ირანის მბრძანებელს შაჰენ-შაჰს. ეს მოგზაურობა ნასრედინ-შაჰისა პირველი არ არის. 1873 წელსაც მიმოვლო შაჰიმ ევროპის ქვეყნები. მაშინ გზად ჩვენს ტფილისშიაც გამოიარა. აპრილის ნახევარს სპარსეთის ბატონი ყაზბინში იყო, საიდამაც თავრიზელებს დეპეშა მიუვიდათ, რომ მანდ შაჰი 20 აპრილს მობრძანდებაო, დაჰყოფს ხუთს დღეს, მაგრამ არავის არ ინახულებს და არც არავისთან მივა სანახავადაო. მის უდიდებულესობას თავრიზიდამ ეახლება ორი პოლკი ჯარი ჯულფამდე, საცა შაჰს მიეგებება თეიმურ-ალა-ხანი 500 ჯარის კაცით. ჯულფშივე მიეგებებიან მის უდიდებულესობას ნასრედინ-შაჰს პეტერბურგიდამ წამოსულნი: გენერალ-ადიუტანტი პაპოვი, სპარსეთის ელჩი რუსეთის უმაღლესის კარის წინაშე მირზა-მახმუდ-ხანი და მისი მოთათბირე, ადიუტანტი შაჰისა მირზა-რიზა-ხანი, რომელნიც 20 აპრილს ჩამოვიდნენ ტფილისში პეტერბურგიდამ, სასახლეში ჩამოხტნენ და დაუყოვნებლივ მიემგზავრებიან ჯულფს. ჯულფიდამ შაჰი ერევანში გამოივლის. ერევნის საქალაქო მმართველობა დიდის ამბით აპირობს მიეგებოს შთამომავალს ოდესმე ამ ქალაქის მბრძანებლებისას. ერევნელები აპირობენ, თუ შაჰმა ინება და ღამე გაათია ერევანში, ბალი გაჰმართონ მის უდიდებულესობის პატივსაცემლად.

ნასრედინ-შაჰი ეხლა უკვე 59 წლისაა. ავიდა მამა-პაპათა ტახტზე 1848 წელს, როცა 18 წლის ყმაწვილი იყო. ყმაწვილობიდამვე ისეთი აღმზრდელი შეხვდა, რომელიც დიდი თანამგრძნობელი იყო ევროპისა და ევროპელთა განათლება-წარმატებისა. აღმზრდელმა, რასაკვირველია, თავის შეგირდსაც ჩააგონა თავისი აზრები და შეაყვარა ევროპიული განათლება და ცივილიზაცია...

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ თვის 18-ს ბეჟათუბანში, მე 157 ვერსზე, სურამის ხევში ქვა ჩამოწოლილა და მოუკლავს მუშა, ოსმალეთის ქვეშევრდომი მაჰმედ ფაშა-ოღლი.

*** ამ თვის 20-ს, ხუთშაბათს, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში სხდომა ჰქონდა ტფილისის პირუტყვთა მფარველს საზოგადოებას. ეს სხდომა მეტად საინტერესო იყო. სხდომაზე წაკითხულ იქმნა ბათუმიდგან მოსული საერთო წერილი ვიცე-ადმირალ გრევსი, პოლიციის უფროსისა და სხვათაგან იმის შესახებ, რომ ბათუმში განზრახვა აქვთ დააარსონ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების განყოფილებაო. აგრეთვე გამოცხადებული იქმნა, რომ საზოგადოება მონაწილეობას მიიღებს კავკასიის გამოფენაშიო. კრებამ დაადგინა მადლობა გამოუცხადოს აქაურს გაზეთებს, რომლებიც საზოგადოების მოღვაწეობას თვალ-ყურს ადევნებენ, და გადასწყვიტა საკუთარი გაზეთი ჰბეჭდოს კვირაში ორჯელ ან სამჯერ. გარდა ამისა კრებამ ყურადღება მიაქცია ერთს ფრიად საყურადღებო საქმეს რადგანაც ჰლექიანის ძროხების რძე მაწყინარი და მავნეა კაცისათვის, ამიტომ საზოგადოებამ დაავალა ბეითლებს თვალ-ყური ადევნონ სნეულს ძროხებს, ბეითალმა ბ-ნმა მეჩერსკიმ შენიშნა, რომ ჰლექიან ძროხის რძე თუ ადუღებულია, კაცს არ ავნებსო.

*** ტფილისის მეორე სავაჟო გიმნაზია აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 23-ს მაისს. არზების მირთმევა შეიძლება მხოლოდ მაისის ოცამდეო.

*** ქ-ნ ბორისოვისა, რომელმაც თავდებობით განთავისუფლება სთხოვა სასამართლოს, უკვე განუთავისუფლებიათ. ბორისოვის საქმის გამო სასამართლოს ათი მოწამე დაუბარებია.

*** ხვალ, ამ თვის 23-ს, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის დღეობაა და წირვას გადიხდის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი პალადი.

*** ნიქოზის ტაძრის მღვ. ი. დავითაშვილისაგან ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი: «კომიტეტს, რომელსაც საგნად აქვს ნიქოზის ძველის ტაძრის განახლება და შეკეთება, თავ-თავიანთი წვლილი შემოსწირეს: პროფესორმა ბ-ნმა ილია ოქრომჭედლიშვილმა—50 მან., თავ. ლევან მელიქოვმა—25 მ., ბ-ნმა ივანე გვარამაძემ—2 მან. და იმისივე თაოსნობით: ანა გვარამაძისამ—2 მან., დავით მაჰავარიანმა—5 მან., მარიამ და ნინა გვარამაძისამ—1 მან., ნიკოლოზ მაჰავარიანმა—2 მან., მთავარ-დიაკვნმა ნიკო კუხიანიძემ—2 მან., ილარიონ ბაქრაძემ—2 მან., ივანე და გიორგი ბაქრაძეებმა—1 მან., დიმიტრი შავთვალაშვილმა—2 მან., გაბრ. ბედოევმა—50 კაპ., ბუდაღ სომხიევმა—1 მან., სტეფანე პოპოვმა—2 მან., ბარბარე პოპოვისამ—2 მან., ტერეზია და იაკობ პოპოვებმა—1 მან., ელისაბედ პოპოვისამ—2 მან., პ. პოპოვმა—2 მან., არტემ გოზალოვმა—2 მან., ვართან ტერ-ასატუროვმა—1 მან., ლიზა შავთვალაშვილისამ—2 მან., ვანო და მიხა შავთვალაშვილებმა—1 მან., ნინა შავთვალიშვილისამ—50 კაპ., გრიგოლ სომხიევმა-1 მან. მარიამ და ელისაბედ აბრიამოვისებმა—2 მან., ეფ. აბრიამოვის სულის საოხებლად—1მან. მართა ბერძენოვისამ—50 კაპ., ნათელა, ევა და ოლგა აბრამოვისებმა—3 მან., ლიუბა და დარო ბაქრაძისეებმა—2 მან., პელაგია გვარამაძისამ—1 მან. და კავკავიდგან მელანია, პეტრე და პავლე გედევანიშვილებმა—3 მან.

ახალ-ბაიაზეთიდგან მირიან ლოლაძის თაოსნობით მოგვივიდა შემოწირულება 34 მან. 61 კაპ. შემომწირველნი: მირიან ლოლაძე —10 მან., მარიამ ლოლაძისა—10 მან., მარია სემენენკო—2 მან., კაზ. ალექსანდროვი—1 მან., ვასილ ელასოვი—1 მან., არტემ პატრასოვი—1 მან., ილია მახვილაძე—1 მან., ნატ. ლაკოვისა—1 მან., არხიპ ტატიევი—1 მან., ვიქ. პავლოვსკი—1 მან., ალხოვსკი—3 მან., ნ. თეოდოროვი—1 მან., იაგორ პეტროვი—1 მან., ივ. ბალიასნი—1 მან.

ქ. ქუთაისის მ. დეკანოზ გიგაურის მამა მთავრიშვილის თაოსნობით შეკრებილ იქმნა 24 მან. შემომწირველნი: დეკანოზი გიგაური—3 მან., დიმიტრი შოვერია—3 მან., მღ. მუხ. გიორგაძე—1 მან., მაკრინე და ალექსანდრა გიგაური—2 მან., ლუკა რუსაძე—1 მან., გრ. ჩუხრუხიძე—1 მან., ყარ. დათეშიძე—1 მან., დიმ. ბახტაძე—1 მან., გ. ხმალაძე—1 მ. და სხვანი, რომელთაც შემდეგში მოვიხსენებთ.

ახალქალაქის მღვდლის თაოსნობით შეკრებილ იქმნა—13 მ. შემომწირველნი: მღ. იოსებ ჩიტაძე—3 მ., დარია ჩიტაძისა—2 მ., აფანასიევი—1 მ., ი. მალხაზიშვილი—1 მ., სტ. ირისფუხოვი—1 მ., თავ. მ. აბაშიძე—1 მ., ალ. ალხაზიშვილი—1 მ., მასწავლებელი მურადაშვილი—1 მ., ყველა ეს შემოწირულება შეადგენს—172 მ. და 61 კაპ., რომელიც წინად შემოწირულ 79 მან. ერთად შეადგენს 251 მან. 61 კაპ.

კომიტეტი ნიქოზის ტაძრის განახლებისა და შეკეთებისა უგულითადესს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** სოფ. დანავეთი (შორაპნის მაზრა): სოფ. დანავეთის მღვდელი მამა რომანოზ გორგაძე ძალიან სცდილობს მკითხაობა და სხვა-და-სხვა გვარი ცრუ-მორწმუნეობა მოსპოს და დარიგებითა და ჩაგონებით ბევრს მოაშლევინა დიდ ოთხშაბათს ალ-ული, კუდიანობა, ქიაკოკოლობის ღამე, საცა დილიდგან მოკიდებული საღამომდე, სანამ ქიაკოკოლა გათავდება, ჩვენი გლეხ-კაცობა კატებს კიდობნის ან ტახტის ფეხზედ აბმენ, რომ ეშმაკებმა არ გაიტაცონ იალბუზზედაო ყველა კატები. ბევრს მოაშლევინა აგრეთვე დიდ ხუთშაბათის უბრობა. ჩვენში უბრობა ამ გვარად იციან: დიდ ხუთშაბათს დილა ადრიან, გარიჟრაჟზედ, ერთ-ერთი ვინმე ოჯახის წევრი უნდა

---

წინად ქრისტეს შობამდე არავის უხსენებია ქართველთა თესლი, მოსე წინასწარმეტყველი, რომელმაც, ავტორისავე სიტყვით, პირველად ახსენა ქართველთა ნათესავი, გარდაიცვალა 1480[22]) წ. ქრისტეს შობამდე. გამოდის, რომ მოსე წინასწარმეტყველი ჯერ გარდაცვლილა და მერე, როცა მიცვალების დღიდამ 169 წელიწადი გასულა, უხსენებია ჩვენის ერის ნათესავთა სახელები. ისტორიის სახაცილოდ აგდება მეტი-ღა გნებავთ!.. მართალია, მოსე წინასწარმეტყველად ცნობილია, მაგრამ მისი მკვდრეთით აღდგენა-კი 169 წლის შემდეგ აქამომდე არავის გაუგონია. თქმა არ უნდა, რომ ეს მკვდრეთით აღდგენა მოსესი ჩვენის ავტორის სასწაულით არის მომხდარი, იმ სასწაულით, რომელსაც მარტო ჩვენებური, მდაბიური „დიამციყოს“-ღა ეთქმის.

ამ სახით ჩვენს ავტორს არაფრად მიაჩნია, რომ ერთმანეთში ურევს სხვა-და-სხვა ამბებს დომხალსავით, ვითომ-და ერთისა და იმავე დროისანი არიანო მაშინ, როდესაც ზოგ ამ ამბებ შორის ჰთაბაუთობს ასი, ორასი და უფრო მეტი წელიწადიცა. ეს გახლავთ ის კაცი, რომელმაც ასე გაბედულად უკიჟინა ჩვენს ლიტერატურას კრიტიკით არ შეჰხებია ისტორიასაო, დალოცვილ, თვითონ-კი ისიც ვერ გამოურკვევია, რაც სამეცნიერო კრიტიკას უკვე გამორკვეული აქვს.

22) შლოსერი, ტ. I, გვ. 51.

ესეც ყველა შევუნდოთ ავტორსა, რადგანაც უსრულოების წინაშე ასი, ორასი და სამასი წელიწადი ბევრი არაფერია. საქმე ის არის, რომ შემდეგ ამისა ერთხელ წახალისებული ავტორი ასისა და ორასის წლის გამოპარებას არა სჯერდება, მთელს რვაასს წელიწადს ჩაილულის წყალს ასმევს. ქართველების პირველ ხსენების შემდეგ, ესე იგი, მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულიდამ, გადის კიდევ რვაასი წელიწადიო, ამბობს ავტორი: ეპოქა მითებისა წავიდა, საბერძნეთი თითქმის ათავებს სოლონის ეპოქასა; ძველი-ქალდეა უთმობს ადგილს ასურეთსა, რომელზედაც უკვე ხმალ-ამოღებულნი არიან დევგმირნი ირანისა,—და თუბალებსა, მოსოხებსა და კოლხიდელებს ისტორია არ ახსენებსო.

ეს დრო, ავტორის ანგარიშს რომ მივყვეთ, უნდა იყოს ხუთასიანი წელიწადი ქრისტეს შობამდე, ანუ უკედ ვსთქვათ, მეექვსე საუკუნე. ესე უნდა ვიფიქროთ, რადგანაც სოლონი გარდაიცვალა 559 წელსა[23]). ხოლო ძველ-ქალდეამ დაუთმო ასურეთს თავისი ადგილი მეცამეტე საუკუნის დასაწყისს, რადგანაც ასურელთა მეფემ თუგლათ-ადარმა დაიპყრა ბაბილონი 1290 წ.[24]) და თითქმის ნაბუქოდონოსორამდე, ესე იგი, მეშვიდე საუკუნემდე ბაბილონი ასსურელთა ხელიდამ არ გამოსულა, მიდ-სპარსნი, ესე იგი, ირანელნი ხმალ-მოსაქნევად მიიღწიენ მარტო ჯერ მიდია-კიაკსარისა (633—593 წ.) და მერე სპარსეთი-კიროსის († 530 წ.) დროს. ამ სახით ჰხედავთ, რომ ავტორს მეექვსე, მეშვიდე, მეცამეტე საუკუნის ამბები ერთისა და იმავე დროისანი ჰგონებია. ეს კიდევ არაფერი, საქმე ის არის, რომ ავტორი გვარწმუნებს, ვითომ იმ დღიდამ მეექვსე საუკუნემდე ისტორია აღარ იხსენიებს თუბალებსა, მოსოხებსა და კოლხიდელებსაო.

23) შლოსერი, ტ. 1, გვ. 156.

24) ვებერი ტ. 1, გვერ. 449.,

სხვა არა იყოს-რა, მარტო არგონავტების კოლხიდაში მოსვლა რომ ფიქრად მოსვლოდა ავტორს, ამას არ იტყოდა. არგონავტების მოსვლა კოლხიდაში 1263 წელიწადშია[25]) ცნობილი ქრისტეს შობამდე. თვითონ ავტორიც თავის პირველ წერილის პირველს გვერდზედვე იხსენიებს ამ ამბავს. მაშასადამე, აშკარაა, რომ მეთოთხმეტე საუკუნიდამ, რომელსაც ავტორი ჩვენის ხსენების დასაბამადა სთვლის, რვა საუკუნე-კი არა, არც ორმოც-და-ათი წელიწადი გასულა. მას შემდეგ მიდ-სპარსთა ისტორიის სარბიელზედ გამოსვლამდე, ესე იგი, მეშვიდე და მეექვსე საუკუნემდე ხსენება ქართველთა ნათესავისა არ შეწყვეტილა და მიდ-სპარსთა მერე ხომ, ავტორისავე სიტყვით, ეგ ხსენება არის და არის.

25) შლოსერი, ტ. I გვერდი 86.

გვიკვირს ავტორმა რაზედ გაგვახვია ქართველები მჩვარში და გვეუბნება რიხით, ვითომც მეთოთხმეტე საუკუნიდამ ქრისტეს შობამდე მეშვიდე-მეექვსე საუკუნემდე არავის ვუხსენებივართ. მართალია, დიდი არაფერი ადგილი გვჭერია მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ იმოდენად-კი მაინცა ვართ ჩაგდებული მაჩანჩალად, რომ ისტორია გაუწყვეტლივ გვიხსენიებს. აკი ვსთქვით, რომ დღეს სმარაგდოვისა და ბარათაშვილის ისტორიით კაცი ფონს ველარ გავა. მას აქედ ისტორიამ ბევრი რამ ახალი და უტყუარი საბუთები შეიძინა.

მას აქედ, რაც ლურსმულმა წერილებმა თავისი გული გადუშალა მეცნიერებას წასაკითხად რაულსონის, ტალბოტის, ჰინკსის და ოპერტის წყალობითა, მას აქედ, რაც ლენორმანმა და ამ ბოლოს ხანებში,—სულ ოთხიხუთი წელიწადიც არ არის,—სეისმა ვანთან ნაპოვნი ლურსმული წერილები გამოარკვიეს, ეჭვი აღარავისა აქვს, რომ ქართველთა უძველესი დედა-ბინა სხვათა შორის არმენიაც ყოფილა, ესე იგი, ვანის ტბისა და არარატის მიდამო ადგილები არზრუმითურთ. ლენორმანმა[26]) და მის შემდეგ ინგლისელმა სეისმა საქვეყნოდ დაამტკიცეს, რომ ეგრედ წოდებული ძველად „არმენია“ გეოგრაფიული სახელია და არა ეტნოგრაფიული. მათის სიტყვით, აქა მდგარან სხვა-და-სხვა სახელწოდების თემნი ქართველის თესლისანი, რომელთაც შორის ყველაზედ უდიდესი და უძლიერესი ყოფილა ერთი თემი სახელად «ნაირი». ლენორმანის გამოძიებით, სომხები, ანუ, უკედ ვსთქვათ, ჰაოსიანნი ფრიგიელთა ნათესაობისა არიან, კიროსის დროს მოსწყვეტიან ფრიგიას, გადმოსულან „არმენიაში“ და ადგილის სახელი თავიანთ სახელად გაუხდიათ. ამაში ლენორმანს ჰმოწმობს თვით ისტორიის მამა-მთავარი ჰეროდოტე.

26) წერილი ლენორმანისა არმენოლოგ დულორიესთან მიწერილი 25 მაისს 1871 წ. ამ წერილის თარგმანი მზადდება და „ივერიაში“ იქმნება დაბეჭდილი თავის დროზედ.

ამ მეცნიერთა წყალობით, დღეს ჩვენ ღონისძიება გვაქვს ჩამოვთვალოთ სახელები ქართველთა თესლის თემთა ადგილებისა არმენიაში, მაგალითებრ, „ნაირი“, მხარე, რომელიც იყო ტიგროსისა და ევფრატის სათავესთან, „მანნა“, ვანის ტბასთან, „მუსასირი“ ამ ტბის ჩრდილოდ, „მილიდი“, „მილდისი“ (არზრუმი) და ბოლოს „ურარტი“, ანუ „არარტი“ მტკვრისა და არეზის შუა.

ყველაზედ ძველი ლურსმული ნაწერი, რომელიც ჩვენ გვიხსენიებს, ეკუთვნის ასურელთა მეფეს თუგლათ-პალასარსა, მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრებელს. მას მერედ ჩვენ გვიხსენიებს მეცხრე საუკუნეში ასურელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგეს უბარი, მოიტანოს წყალი უბრად, ე. ი. ხმა-ამოუღებლივ. ეს წყალი მთელი ერთის წლის განმავლობაში უნდა შეინახოს, როგორც ხატის ნაბანი წყალი. ამავე უბარმა უნდა მოიტანოს მწარე ბალის შტოები და უნდა დაასოს როგორც ეზოში, აგრეთვე ვენახებში და სხვა საკუთარს ადგილებში, ვითომ-და მტრები თვალს აღარა გვკრავენო.

*** 20 ამ თვისას, ღამით, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე უპოვნიათ მიგდებული ბავშვი დედათა სქესისა, რომელიც სამიოდე დღის დაბადებული უნდა იყოს. ბავშვი გაგზავნეს საზებიო ინსტიტუტში.

◆◆

## უცხოეთი

გერმანია. 1871 წელს, ესე იგი მაშინ, როცა გერმანიამ დაამარცხა საფრანგეთი, გერმანიას 770 მილიონი სახელმწიფო ვალი ჰქონდა გამარჯვების შემდგე გადაახდევინა საფრანგეთს კონტრიბუცია და ეს ვალი სრულიად გადაიხადა. მას უკან მთელის ექვსი-შვიდის წლის განმავლობაში ვალი არა ჰქონია. მაგრამ რაკი გაძლიერებული შეთოფ-იარაღება დაიწყო და საფრანგეთისაგან წართმეულის დაცვა უნდოდა, გერმანია იძულებული იყო ყოველ წლივ დიდი ხარჯი გაეწია და ნელ ნელა ვალში ჩავარდნილიყო. ჯერ პირველად 1877 წელს დაედო 16 მილიონი ვალი, მეორე წელს 72 მილიონამდე ავიდა, 1880 წელს 200 მილიონი გახდა, 1885 წელს უკვე 410 მილიონი შესდგა, ხოლო წელს ერთი მილიარდი და 238 მილიონი მარკა ვალი აქვს, ანუ 600 მილიონი მანათი, მართალია, არც ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებს აქვსთ ნაკლები ვალი, მაგრამ იმათ წინადაც ბევრი ჰქონდათ და ამ უკანასკნელს ხანებში ბევრი არა მოჰმატებიათ-რა, გერმანიას-კი ამ 12 წლის წინად ერთი კაპეიკი ვალიც არა ჰქონია. საფრანგეთს აქვს ამ ჟამად 11½ მილიარდი მანათი სახელმწიფო ვალი, ხოლო ინგლისს 7 მილიარდი.

გაძლიერებული შეთოფ-იარაღება ცალკე ჰხუთავს სულს გერმანიას და ბისმარკის რკინის ხელი კიდევ ცალკე უჭირებს საქმეს ერს.

ამ ხანად პრუსიის მთავრობას უნდა შეაცვლევინოს მოზავეთა საბჭოს მეოთხე მუხლი სისხლის სამართლისა და გაავრცელოს სიკვდილით დასასჯელ დანაშაულობათა რიცხვი ომიანობის დროს და იქ, სადაც რომელსამე თემსა ანუ გერმანიის ქვეყანაში შიშიანობის წესია შემოღებული. ამას გარდა მთავრობას განზრახვა აქვს, რომ, გათავდება თუ არა რეიხსტაგის კრებანი ანუ ეხლანდელი სესია, დიდი პროცესი დაიწყოს და სამართალში მისცეს მთელი სოციალ-დემოკრატების დასი პარლამენტის დეპუტატებისა. მთავრობა ამბობს, რომ უკანონო კრებულია ეს დასიო და მისი არსებობა არღვევს 1878 წლის განსაკუთრებულს კანონსაო. თითოეული დეპუტატი უნდა მიეცეს სამართალში და დაჰბრალდეს, რომ იგი ეკუთვნის უკანონო კრებულის ბიუროს. დასამტკიცებელ საბუთებად უნდა წარედგინოს სამართალს ის საარჩევანო მიმართვა და წერილები, რომელშიაც 1878 წლის კანონის პირდაპირ საწინააღმდეგო ლაპარაკია მოყვანილიო. მთავრობა ამას ამბობს და რეიხსტაგმა-კი, რომელმაც დაამტკიცა ეს კანონი 1878 წელს, მოითხოვა, უთუოდ თავისუფლება უნდა არსებობდეს კრებათა და ყოველ გვარ დასთა წერილებისათვის ამომრჩეველთა მიმართო. რასაკვირველია, რეიხსტაგს მაშინ სოციალ-დემოკრატების დასიც არ გამოუკლია და იმისთვისაც მოითხოვა როგორც თავისუფლად შეკრების ნება, ისე თავისუფლად ლაპარაკისა თავის ამომრჩეველებთან. ამას გარდა, რადა ეხლა მოაგონდა მთავრობას, რომ ამ დასის არსებობა უკანონოაო, როცა ეს დასი აგერ ათი წელიწადია არსებობს იმ 1878 წლის კანონს შემდეგ, და არავის მისი დევნა ფიქრად არ მოსვლია. თუ აქამდე დანაშაულობაში არაფინ არ ჩამოართვა ამ დასს არსებობა, რაღა ახლა შეიქმნა დანაშაულობად? მაგრამ ეტყობა ასეთია ნება ბისმარკისა.

— ამ ხანებში გარდაიცვალა გერმან ვაგენერი, ნიჭიერი წარმომადგენელი და დამცველი ბისმარკის პოლიტიკისა შინ თუ გარეთ. ვაგენერი პირველად გამოვიდა საპოლიტიკო ასპარეზზედ 1848 წელს, როცა მან დააარსა გაზეთი „Kreiz Zeitung“-ი. ამ გაზეთის თანამშრომლად იყო ერთ ხანად ბისმარკიც, რომელიც მაშინ უბრალო ფონ-ბისმარკ-შენჰაუზენი ბრძანდებოდა. ბისმარკმა მაშინ გაიცნო კარგად ნიჭიერი, მცოდნე და დიდად განსწავლული ვაგენერი, რომელიც 1850 წლებში დეპუტატად იქმნა არჩეული და იქიდამ 1866 წელს სახელმწიფო სამსახურში გადიყვანა იმპერიის კანცლერის პირველ მოთათბირედ. აქ დიდი შემწეობა გაუწია ბისმარკს თავის ცოდნითა და ნიჭით და იმისი მარჯვენა ხელი ეს იყო. ამავე დროს ვაგენერს ნაცნობობა ჰქონდა სოციალისტების მეთაურებისა, პირველად ლასალისა და როდბერტუსისაცა. ვაგენერმა გააცნო ბისმარკი ლასალს და ჩააგონა, რა სოციალური რეფორმებიც იყო საჭირო სახელმწიფოსათვის. ვაგენერის საპოლიტიკო მოღვაწეობა დასრულდა 1873 წელს, როცა შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ლასკერმა პარლამენტში და გამოააშკარავა შემაძრწუნებელი ამბები ზოგიერთ მაღალ-ხარისხოვან კაცთა საბირჟო საქმეებისა და მათ შორის ვაგენერისაცა. ის იყო და ის: ვაგენერმა სამსახურს თავი დაანება და კერძო კაცად სცხოვრობდა. კონსერვატორების დასმა არ დაივიწყა იმისი სამსახური, უყიდა მამული სოფელში და აი ამ სოფელში გაატარა თავისი უკანასკნელი დღენი ვაგენერმა, რომელმაც სიკვდილის წინად დაჰბეჭდა საინტერესო წიგნი თავისის მოგონებისა.

◆◆

## წვრილი ამბები

მგონი ბევრმა არ იცის, რომ აფრიკაშიაცა აქვსთ დაარსებული თავისი საკუთარი უნივერსიტეტი. ეს აფრიკის უნივერსიტეტი იმყოფება ქალაქ ფეცში, მაროკკოს წინანდელს სამეფო ქალაქში, მშვენიერს მინდორზედ. ესლა გამოვიდა ამ უნივერსიტეტის დაწვრილებული მონოგრაფია, ჟ. დელფენის მიერ შედგენილი. ეს მონოგრაფია ამბობს, რომ ფეცია დედა-ბოძი არაბეთის მეცნიერებისა და ფეცის უნივერსიტეტი ამზადებს ყველა „არაბეთის ბრძენთაო“. ამ უნივერსიტეტში სულ 700 სტუდენტია, ხოლო პროფესორი-კი—400. აი ამ უნივერსიტეტში რა და რა საგნებს ასწავლიან: კითხვასა და განმარტებას ყორანისას, კანონთ-წარმოების საფუძველთ, არაბულის ენის გრამმატიკას, ლოგიკას, რიტორიკას, არითმეტიკას, ასტრონომიას, სამკურნალო მეცნიერებას, ისტორიას, გეოგრაფიასა და ლიტერატურას. ფეცის უნივერსიტეტში შესულმა სტუდენტმა ოთხი წელიწადი უნდა დაჰყოს სწავლაში. სტუდენტებს მთავრობისაგან ეძლევათ სადგომი, საჭმელ-სასმელი და სხ., ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ ყოველ გვარი შეღავათი ეძლევათ.

— ვოლაპიუკს მოწინააღმდეგე და მოქიშპე ენა გამოსჩენია. ვიღაც ლინგვისტს მოუგონია შეადგინოს ინგლისურისა და ფრანცულის სიტყვებიდგან ახალი ენა, რომელიც მხოლოდ ინგლისელთა და ფრანგთა შეუძლიანთ ხმარება. ეს ახალი ენა ერთის მხრით არის თურმე მოუხერხებელი: ახალმა ენამ ინგლისურისა და ფრანცულის ენების შეგირობა უნდა გასწიოს და ამ ორთავე ენაზედ ძნელი შესასწავლი-კია.

— დონ-კიხოტები ჩვენს საუკუნეშიაც იპოვებიან თურმე, თუმცა სხვა იერი აქვსთ და სხვა ფერი. რაინდულ რომანების კითხვას ნიურენბერგის ქვეყნით ჯარის ერთი მსახური ძალიან გაუტაცნია. ოცნებას ისე ასთამაშებია, რომ მარტო ერთად-ერთი-და ჰსურვებია: ციხე-დარბაზში ვიცხოვრებ სადმე განმარტოებით და სხვა-და-სხვა საფრთხესა და განსაცდელს მივცემო თავს. ამ წლის თებერვლის თვეში რეიშელი — სახელია ამ რომანებით გატაცებულის კაცისა — სადღაც გადაკარგულა ნიურენბერგიდამ და რამდენიმე დღე ამაოდ უძებნიათ, არსად გამოჩენილა. ამდგარა თურმე ეს ახირებული კაცი და დაუდგებულა ერთის ციხის ნანგრევებში, რომელიც ფერენბახსა და ლაუფონს შუა იმყოფება. აქ რეიშელს ბევრი გაჭირება და შიმშილი უთმენია, მაგრამ მაინც გული არ გაუტეხნია, არსად არ წარუკვეთნია და იმ იმედით ყოფილა ასე, რომ საშუალ საუკუნოების ზნეობას ვამსგავსებო. დამდგარა თუ არა სიცივეები, ცოტაოდე გონებაზედ მოსულა ეს კაცი, გამოფხიზლებულა, ოცნება გაჰქრობია და უფიქრნია, რომ მოდი ისევ დავბრუნდები ჯარშიო. ჯარში დაბრუნებული უფროსებს დაუპატიმრებინებიათ, სამსახურს რად გაექეციო, სამხედრო სამართალში მიუციათ და ამ სასამართლოს კიდევ თავისის მხრით სამის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია ამ რაინდულ რომანების კითხვით გატაცებულისათვის, ჩვენის დროის ლამანჩელ აზნაურისათვის.

— ინგლისელ მუშათა შორის ძალიან არის თურმე გავრცელებული თმის ღებვა და ამ საქციელს სიკოხტავისა და სიკეკლუცის გამო-კი არ სჩადიან იქაურები, არამედ იმიტომ-რომ ძალა-უნებურად იძულებულ გამხდარან. საქმე იმაში გახლავსთ, რომ თმა-ჭაღარა ადამიანი ადგილს ვერსად იშოვნის თურმე,

---

თა მეფეეე ასსურ-ნაზირ-აბალი და აქედამ ჩვენი ხსენება არ შეწყვეტილა ასსურ-ბან-აბალამდე, რომელიც სცხოვრებდა 668—625 წ. ქრისტეს შობამდე და ამის შემდეგ ხომ მიდ-სპარსნი, ესე იგი, ირანი გამოდის და ირანს კი ხომ ენაზედ აკერია ჩვენი ხსენება, როგორც თვითონ ავტორიც ამბობს. ამ მეთორმეტე საუკუნიდამ დაწყებული მეშვიდე საუკუნემდე, სახელდობრ, 625 წლამდე, „არმენია“ ასსურეთის საომარი მოედანი ყოფილა. ამ დროთა მანძილზედ ასურთა მეფენი თითქმის განუწყვეტლივ გვიხსენიებენ ასე, რომ ლურსმულნი ნაწერნი ღონისძიებას გვაძლევენ თვით ჩვენთა თემთა მთავრების სახელებიც ჩამოვთვალოთ. მაგალითებრ, მერვე საუკუნეში თუგლათ-აბალ-ასარი II თავის ლურსმულს ნაწერში იხსენიებს თუბალთა მეფეს „უასამს“-ს, ურარტის მეფეს „ურსა“-ს, და მის ძმას „არგისტი“-ს, ზიქართისას—„მიტატი“-ს, მანნისას—„ირანსუ“-ს, ირანსუს შვილს „აზო“-ს, „ულუსუნ“-ს, მის ბიძაშვილს; მილდისისას—„ბალადატი“-ს და ბოლოს ხანებში ასსურ-ბან-აბალის დროს (668—625 წ.) იხსენიებს ურარტისავე მეფეს „სადურ“-ს, ამას გარდა თვითონ ლენორმანსაც მოჰყავს იმავ ლურსმულ ნაწერებიდამ სხვა მეფეების სახელებიცა, რომელთ შორის დასახსომები არიან „არამ, ანუ, არან და აზო“. დასახსომები არიან იმიტომ, რომ ჩვენს ახლად ნაპოვნ ქართულ მატიანესაც მეცხრე საუკუნისას დაჰხსომებია ეს სახელები და თუმცა ქრონოლოგია მატიანესი ამ შემთხვევაში არ ეთანხმება ლურსმულ ნაწერისას, მაგრამ თვით მაგ სახელების შერჩენაცა და დახსომებაც ჩვენის მატიანესაგან უმნიშვნელო არ არის.

აი ეს მთელი ხანა ჩვენის ისტორიისა გამოჰპარვია ჩვენს კრიტიკით და შედარებითის მეთოდით მოსილს ავტორსა, რომელსაც ამასთანავე თავიც მოაქვს, ვითომც მე პირველი ვარო ამ მხრით გამომძიებელი ქართულის ისტორიისაო. იქნება გვითხრას, რომ ეგ „ურარტი-მურარტი“ მე არ ვიციო. ან მოსოხი, ან თუბალი მიჩვენეთ, რომ ეხსენებინოთო. მეთორმეტე საუკუნის თუგლათ-პალასარი I იხსენიებს „მუსკაებს“, იგივე „მოსხებია“, აგრეთვე ასსურ-ნაზირ-აბალი მეცხრე საუკუნეში, თუგლათ-აბალასარი II (744—726 წ.) ‹თუბალებს› და ბოლოს სინაქერიბი (704—681 წ.) და ასსურ-ბან-აბალი „ქალდუ“-ს, რომელიც—ვინ იცის—იქნება ჩვენი ‹ქართლიც› გამოჰდგეს, თუმცა ამას ჩვენ მარტო ვვარაუდობთ და დიდის სიფრთხილითაც ვახსენებთ, ისიც ჯერ იმიტომ რომ სიტყვამ მოიტანა და მერე იმიტომ-რომ ეგ ‹ქალდუ› არმენიაშივეა ნაჩვენები ვითარცა ბინა ქართველთა ნათესავის ცალკე თემისა.

აქ ავტორი თავს ვერ გაიმართლებს იმითი, რომ სადამდენაც ხელი მიმიწვდებოდა, მოვიჩხრიკე და წყაროები და მასალა ვერ ვიპოვეო ტფილისში.

საბუთი გვაქვს, აქ არ დავუჯეროთ ავტორს ეს მითამცა მისი ხელის გაწვდენა. ის ცნობები, რომელნიც ჩვენ მოვიყვანეთ, მოხსენებულია თვით ზაიცოვის ისტორიაში,[27]), რომელიც ტფილისში არამც თუ იყიდება წიგნის მაღაზიებში, ყველა გიმნაზიის შეგირდსაცა აქვს. ნუ თუ ამ წიგნამდენაც ხელი ვერ მიაწვდინა ჩვენის პირველ-ყოფილ დროების თამამმა გამომძიებელმა. ამას ვინა სჩივის: თავის პირველ წერილის 6 გვერდზედ[28]) ავტორი მისებურის ხელ-გაშლით გვარწმუნებს, რომ ასსურეთი არც პოლიტიკურად, არც გეოგრაფიულად არ ეხებოდა საქართველოსაო(!).

პოლიტიკურად ეხებოდა თუ არა, ეს ხომ ვნახეთ. გეოგრაფიულად ეხებოდა თუ არა, ამასაც ეხლა ვნახავთ, თუ ძველის ისტორიის რუკას წინ დავიდებთ. ეს რუკა გაჩვენებთ, რომ საქართველოს სამხრეთ დასავლეთით ასურეთი უდევს და სამხრეთ აღმოსავლეთით მიდ-სპარსეთი, მერე ისე, რომ სატახტო ქალაქი ასურეთისა ნინევეია უფრო ახლო სჩანს, ვიდრე მიდიის—ეკბატანი და სპარსეთის პერსეპოლი. ან ამისი არ-ცოდნა როგორღა მოეკითხება იმ კაცს, რომელმაც არ იცის დღევანდელი ამბავიცა, ესე იგი, იმისთანა ამბავი, რომელიც დღესაც ყველა მეურმემ იცის ჩვენში ყოფელ ფეხის გადადგმაზე. მაგალითებრ, მეორე წერილის 37, 38 გვერდზე ავტორი გვარწმუნებს, რომ მცხეთა დარიალის ხეობის შესავალშია[29]). სად დარიალი და სად მცხეთა! მცხეთა, ბაშმაც-კი იცის ჩვენში, რომ არაგვის ხეობის შესავალშია და დარიალის ხეობასა და არაგვის შუა ერთი უშველებელი წყალთ გამყრელი ზურგია მთისა აბანოს-გუდაურ-კაიშაურისა, რომელს აქედ, სამხრეთისაკენ არაგვი ჩამოდის და იქით, ჩრდილოეთისაკენ თერგი, დარიალის ხეობის გამჭრელი. მინამ კაცი ამ მთის ზურგამდე მივა, უნდა გაიაროს მცხეთიდამ არაგვის ხეობა; მერე შეჰხვდეს გუდამაყრის ხეობას; შეუხვიოს მთიულეთისას; აქ მიაწყდეს ხსენებულ წყალთა გამყრელ მთას; გადაივიდეს ამ მთის ზურგსა; აბანოსა, კობის და ხნოს ხეობას კარგა მანძილზე გასცდეს და ბოლოს და ბოლოს დარიალის ხეობაში ჩავიდეს. ნუ თუ ამის საცოდნელადაც ხელი ვერ მიაწვდინა კრიტიკითა და შედარებითის მეთოდით შეჭურვილმა ავტორმა! დალოცვილი, პირველ შეხვედრილ მეურმეს მაინც ჰკითხავდა!

აი რა გვარ მეცნიერთან, რა გვარ ცოდნის პატრონთან გვაქვს საქმე ჩვენდა სამწუხაროდ და მკითხველის მოსაწყენად. ეს იქონიეთ სახეში და შეგვიბრალეთ ჯერ ჩვენ, რომელსაც წილად გვხვდა გარჩევა ავტორისა, და მერე რუსული ჟურნალი Сѣв. Вѣстникъ-ი, რომელმაც დაჰბეჭდა ამ ავტორის ორი წერილი.

დღეს, რაცა ვსთქვით, ესეც კმარა. რაკი დავპირდით მკითხველს თავიდამ ბოლომდე მივყვებით ავტორსაო, ჩვენ ამ პირობას აღარ გადავალთ და სხვა მარგალიტებს ავტორისას შემდეგ გავარჩევთ. ეხლა-კი მაინც ამას ვიტყვით: კაცს რომ ჯერ ისიც არ შეუტყვია მცხეთა სად არის, დარიალის ხეობაშია, თუ არაგვისაში, და სტრაბონი ბერძენთა მწერალია, თუ რომაელთა[30]), აბა საიდამ შეგვიტყობდა, რაც პირველ-ყოფილ დროებას ჩვენის ისტორიისას შეეხება. ამაზეა ნათქვამი, რომ სანეკრე ჰნახა და სახტომი-კი არ გაუსინჯაო.

[27]) Исторія Востока Зайцева.

[28]) აი ავტორის სიტყვები: жители Мцхетъ.. ესე იგი, ქართველები „будучи подъ вліяніемъ ближайшихъ сосѣдей своихъ мидянъ и персовъ, заимствовали символы сабаизма даже не прямо изъ Ассиріи, съ которой они не соприкасались ни политически, ни географически“.

[29]) აი ავტორის სიტყვები: Кіаксаръ... „позаботился укрѣпить Мцхетъ, резиденцію старшаго мамасахлиса, расположенную у входа въ дарьялское ущелье“.

[30]) ავტორი თავის პირველ წერილის პირველ გვერდზედვე გვეუბნება, რომ სტრაბონი რომაელთა მწერალიაო. ესეც ახალი ამბავი და ახალი საბუთი ავტორის გულ-ახდილ არცოდნისა.

რაც უნდა ბევრი ეცადოს და აქეთ-იქით ეცეს. აი კიდევ ამ მიზეზით იღებავენ თმას, რომ ახალგაზრდად უჩვენონ ხალხს თავი და თვალები აუბან.

— ლონდონში აჩვენებენ ხალხს თურმე ერთს მაიმუნს, რომელიც ძალიან კარგად უკრავს ჩიანურს. ამ ახირებულმა მემუსიკემ და არტისტმა სულ ექვსის ჭანგის დაკვრა იცის და ორს წელიწადს უსწავლია. ერთს მუსიკის რეცენზენტს სამასხაროდ დაუწერია წერილი მაიმუნის არტისტობის შესახებ და ამტკიცებს, რომ ადამიანიშვილიც ვერ ისწავლიდა ორის წლის განმავლობაში იმაზედ მეტს, რაც მაიმუნს უსწავლიაო. ეს არტისტი საზოგადოების წინაშე ფრაკში გამოწყობილი და ყელ-სახვევით მორთული გამოხრძანდებაო. ახლა ისიდა გვაკლია, რომ სპილოებმა დაიწყონ ფორტოპიანოზედ დაკვრა.

— დოქტორ ფელცის მიერ „Deutsche medicinal Zeitung“-ში დაბეჭდილია საყურადღებო ამბავი ცაციობის შესახებ. ფელცს ორი ცაცია ყმაწვილი ურჩენია. ამ ყმაწვილებს დედ-მამა ცაციები არა ჰყავთ თურმე და არც უფროსი ძმა. მეორე ყმაწვილი, რომელიც ამ ჟამად თხუთმეტის წლისაა, ყმაწვილობიდგანვე ცაცია ყოფილა, ცაციაა აგრეთვე მესამეც, ორის წლის ბავშვი. ამ ცაციობის მიზეზი, დოქტორ ფელცის აზრით, ის არის, რომ დედას მარცხენა ხელით უტარებია ბავშვი, ყმაწვილს მარჯვენა ამის გამო დედის მხარზედ ჰქონია გადახვეული და მარცხენათი — თავისუფალის ხელით სხვა-და-სხვა სათამაშოებს წასწვდენია ხოლმე.

— ქალების ბრძოლა, და მერე დანებით, ძალიან იშვიათი ამბავია მაგრამ შეუძლებელი-კი არა. ნიურენბერგში ამას წინად ორს ღვიძლს დას ერთი და იგივე ყმაწვილი კაცი შეჰყვარებიათ, — ერთი და თვრამეტის წლისა და მეორე — ოცისა — ერთმანეთზე რაღაც ეჭვი აუღიათ, წამოუყვლიათ დანებისათვის ხელი და დასძგერებიან ერთმანეთს. ერთს დიდი ჭრილობა მიუღია სახეზედ და მეორეს ცალი თვალი სრულიად ამოჰკვარდნია და დაბრმავებულა.

— ყველაზედ მშვიდობიანი და წყნარი არსება — მტრედი ამ უკანასკნელს დროს სამხედრო საქმეში ჩარიეს და ომისთვის გამოსადეგად იცნეს, ხოლო აქამდე ეს საფოსტო მტრედები დაცულნი არ იყვნენ მტაცებელ ფრინველთაგან. ახლა იტალიის სამხედრო გაზეთი ამბობს, რომ ჩინელები მტრედს, ქორისა და შავარდენისაგან დასაცველად, ბოლოზედ სასტვენელს უკეთებენ, რომელიც ტრედის ფრენის დროს უსტვენს და ამითი აფრთხობს მტაცებელს ფრინველებსაო. ამ სასტვენელს ბამბუკის ხის ქერქისას აკეთებენ თურმე და ძალიან სუბუქიც არის მტრედისთვის სატარებლად.

— ახლა ხომ ყველგან იმაზედ აქვსთ სჯა, რომ მოსწავლეები სასწავლებლებში იქანცებიან მეტის-მეტად ბევრის საგნის სწავლებისაგანაო. ახლა ამის გამოვე ჰოლანდიაში დაუწყიათ ლაპარაკი, რომ ყველა ჩვენს გიმნაზიებში აღკვრძალოთ ბერძნულის ენის სწავლება, როგორც მეტისა და არა-საჭირო ენისაო. საკვირველი ის არის, რომ პირველად ამის შესახებ ლაპარაკი აღუძრავს ფილოლოგს ნამერს, რომელიც ბერძნულის ენის მასწავლებელია ჰოლანდიაში

◆◆

# დეპეშა

21 აპრილი

პეტერბურგი. უფროსი თავმჯდომარე ვარშავის სამოსამართლო პალატისა ბუტოვსკი დაინიშნა სენატის პირველ დეპარტამენტის ობერ-პროკურორად. პროკურორი ოდესის ოლქის სასამართლოსა ჩერნიავსკი დაინიშნა ვარშავის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეთ.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ მირონცხებას სერბიის ახალის მეფისას აღასრულებს მიტროპოლიტი მიხეილი. მიტროპოლიტს განზრახვა აქვს დარჩეს პეტერბურგში ხუთი დღე.

ლონდონი. სპარსეთის ზღვის ნაპირებზე დიდი უწესოებაა: ოსმალნი აშენებენ ციხე-სიმაგრეს ფაოში; არაბის თემთა მამასახლისები ერთმანეთს ეომებიან. საფიქრებელია, რომ მასკატშიაც მოჰხდება უწესოება.

პარიჟი. ძმისწული ნეგუსისა მანგაშია და რას-ალულა ადუაში იმყოფებიან, მანგაშია და რას-ალულა ცდილობდნენ სათათბიროდ შეეკრიბნათ დიდ-კაცობა სამეფოისა, მაგრამ ვერას გაჰხდნენ. ნეგუსის ძმისწულ დებებსა და რას-ალულას შორის მტრობა ჩამოვარდა.

სოფია. პოლიციის პრეფექტმა გასცა ბრძანება, რომ ყველა უცხოელი მოვალეა ოც-და-ხუთის დღის განმავლობაში წარუდგინოს პასპორტი პოლიციის; თუ ასე არ მოიქცა, ქალაქიდგან გაიგზავნებაო. იმავე ბრძანების ძალით ბოლგარიელი ემიგრანტები, რომლებიც სოფიაში დაბრუნდნენ, თავ-თავიანთ სამშობლო ადგილებში უნდა წავიდნენ სამის დღის განმავლობაში.

პეტერბურგის ბირჟა, 18 აპრილი

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 49 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 149½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 270 |
| —მეორისა . . . . . . | — „ | — „ | 242¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი — უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

აპრილი 30 დღით არის.

22 დღე შაბათი. ღირსისა მამისა თეოდორე სკიოტელისა. კათოლ. ნიკოდიმესი. მაჰმად. მე-4 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—53, ჩადის 7—1. მთვარე 4 დღისაა.

23 დღე კვირა. წმ. დიდის მოწამისა გიორგისა. კათოლ. გიორგისავე. სომეხ. მოლნილის გიორგის დღეობა. მაჰმად. მე-5 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა. — დაარსდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, 1849 წ. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—2. მთვარე 5 დღისაა.

24 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. საბა სტრატილატისა. კათოლ. წმ. ფიდელისა. მაჰმად. მე-6 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—3. მთვარე 6 დღისაა.

25 დღე სამშაბათი. წმ. მოციქულისა და მახარობელის მარკოზისა. კათოლ. წმ. მარკოზისავე. მაჰმად. მე-7 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—4. მთვარე 7 დღისაა.

სავაჭრო ცნობანი

ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თუთრი ფური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| ფური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

ჩარკვიანის მაღაზიაში

## როზერტ ოვენი.

ფასი 15 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველი გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | „ | 40 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . . | 3 | |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე. . . . | 3 | 60 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა . . | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთხრობა ან. ფურცელაძისა. | „ | 25 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ცაგარლის გამოც. . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




არყის ხის ბალზამი დ—რის ლენგილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს — 1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება გ. აურიხთან ს. პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, გ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტიროზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—16)